



**TBILISI HUMANITARIAN
TEACHING UNIVERSITY**

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
ჯანდაცვის ფაკულტეტის სხდომის

ოქმი № 12/ 2017

თბილისი

14 მარტი 2017 წ.

სხდომა დაწყების დრო: 13.00

სხდომის დასრულების დრო: 14.00

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესორები: პროფ. ილონა საყვარელიძე, პროფ. ნინო ორმოცაძე, პროფ. ტატიანა ზუბიაშვილი, ასოც. პროფ. გიორგი ბერიაშვილი, ასოც პროფ. ხათუნა კალაძე, პროფ. ელენე ნიკოზაძე, ასოც. პროფ. ვლადიმერ ხუტაშვილი, ასისტენტ-პროფ. მედეა დარასელია, ასისტენტ-პროფ. მერი კახაბრიშვილი, ასოც. პროფ. იმედა რუბაშვილი, ასისტენტ-პროფ. გელა ჩადუნელი, პროფ. ილია მუხაძე, პროფ. პაატა გიორგაძე, პროფ. მანანა ორჯონიკიძე, ასოც. პროფ. მერაბ ლეკვეიშვილი, ასოც. პროფ. კონსტანტინე კაჭარავა.

სტუდენტები: თ. ჩადუნელი, თ. სიყმაშვილი, თ. მერებაშვილი, ზ. ენგოიანი, მ. გაბუნია
ლ. ხმელიძე, მ. ჯანელიძე, ნ. კუკავა

ქვორუმი: 20

სხდომის თავმჯდომარე: პროფ. ილონა საყვარელიძე

სხდომის მდივანი: ლ. ოზგაძე

დღის წესრიგი:

1. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქის ვუსალ ხუდიევის მიერ ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო აზერბაიჯანის სასწავლო (ლიცენზირებულ) უნივერსიტეტში განვლილი სასწავლო კრედიტების სახელმწიფო აღიარება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.
2. თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტზე მედიცინის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებისა და მედიცინის ერთსაფეხურიანი ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორის განსაზღვრის თაობაზე (მომხ. პროფ. ი. საყვარელიძე)

მოისმინეს:

პირველ საკითხთან დაკავშირებით თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ ილონა საყვარელიძის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ თჰუ რექტორის 2016 წლის № 123/05 ბრძანების საფუძველზე ჩარიცხულია აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე ვუსალ ხუდიევი. 2017 წლის 07 თებერვლის ფაკულტეტის საბჭოს №07 სხდომაზე შედგა დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამისა და მის მიერ ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო აზერბაიჯანის სასწავლო (ლიცენზირებულ) უნივერსიტეტში გავლილი საგნების შედარების აქტი და გაკეთდა დასკვნა, რომელიც გაეგზავნა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. ვუსალ ხუდიევმა ფაკულტეტის საბჭოს პირადად წარმოუდგინა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წერილი (MES №21700171141), რომლის საფუძველზეც აღიარებულ იქნა მის მიერ გავლილი სასწავლო დისციპლინები სათანადო კრედიტებით 205 ECTS კრედიტის ოდენობით.

მეორე საკითხთან დაკავშირებით, პროფ. ილონა საყვარელიძის ინფორმაცია მედიცინის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა დაასრულა მუშაობა აღნიშნულ პროგრამაზე, წარმოადგინეს სილაბუსები, რომლებიც შედგენილია კანონმდებლობით დადგენილი წესისა და აკრედიტაციის სტანდარტების თანახმად. პროგრამების მიზნები შეესაბამება თბილისის ჰუმანტარული სასწავლო უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას. სწავლის შედეგები მიღწევადია და ორიენტირებულია შრომის ბაზარზე, პროგრამას გააჩნია მკაფიოდ და ნათლად ჩამოყალიბებული სტრუქტურა, სწავლისა და სწავლების მეთოდები ადეკვატურია სწავლის შედეგებთან, სილაბუსებში წარმოდგენილი სასწავლო ლიტერატურა და სხვა რესურსები უზრუნველყოფილია, მომხსენებელმა ვრცლად ისაუბრა აკადემიურ პერსონალზე, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა პროგრამის შედგენაში და რომლებიც პროგრამის ფარგლებში მოწვეულნი არიან ამა თუ იმ სასწავლო დისციპლინების წასაკითხად. ჩაატარდა ბაზრის კვლევა, პროგრამისთვის მოიძიებულ იქნა ორგანიზაციები, კლინიკები, სამედიცინო დაწესებულებები, რომლებიც უზრუნველყოფენ კლინიკური პრაქტიკის განხორციელებას. მომხსენებელმა წარმოადგინა მედიცინის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა დანართი 1-ის სახით და დააყენა კენჭისყრაზე. ასევე მომხსენებელმა მედიცინის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის კანდიდატურაზე წარადგინა პროფ. ელენე ნიკოზაძე. ქალბატონმა ილონამ ასევე აღნიშნა, რომ მედიცინის ერთსაფეხურიან ქართულენოვან პროგრამაზე, რომლის ხელმძღვანელია ქალბატონი ტატიანა ზუბიაშვილი პროფ. ელენე ნიკოზაძე სასურველია დაინიშნოს კოორდინატორად, ვინაიდან ქ. ტატიანა ზუბიაშვილს მიმდინარე სასწავლო წლის მანძილზე დატვირთული პრაქტიკული საქმიანობის გამო არ შეუძლია ამ ეტაპზე სრულყოფილად იყოს ჩართული პროგრამის სააკრედიტაციოდ წარდგენის პროცესში, თუმცა 2017-1018 სასწავლო წლის დაწყების შემდეგ სრულად ჩაერთვება პროგრამის ხელმძღვანელობაში.

აზრი გამოთქვა: პროფ. ილია მუხამეძე, პროფ. პაატა გიორგაძე, ასოც. პროფ. კონსტანტინე კაჭარავამ, პროფ. ტატიანა ზუბიაშვილმა.

კენჭისყრის შედეგი: ყველა ერთხმად დაეთანხმა

გადაწყვიტეს:

1. უღიარდეს ვუსალ ხუდივეს ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო აზერბაიჯანის სასწავლო (ლიცენზირებულ) უნივერსიტეტში გავლილი საგნები 205 ECTS კრედიტის ოდენობით;
2. მოწონებულ იქნას და დასამტკიცებლად წარედგინოს თჰუ აკადემიურ საბჭოს მედიცინის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა დანართი 1-ის სახით;
3. მედიცინის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად დაინიშნოს ელენე ნიკოზაძე, მასვე დაევალოს მედიცინის ერთსაფეხურიანი ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორობა;
4. ეთხოვოს თჰუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილებების ბრძანებაში ასახვა.

თავმჯდომარე:

მდივანი:



ი.საყვარელიძე

ლ.ობგაძე